საქართველოს
პირველი არხი

„მოამბის“ წინასაარჩევნო მონიტორინგის ანგარიში თვის ჭრილში

1.09.20 - 30.09.20

არჩევნები 2020

პირველი არხის და საქართველოს რადიოს საინფორმაციო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების ყველა გადაცემის მონიტორინგი 1 სექტემბრიდან მიმდინარეობს და მიზნად ისახავს მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობრივი მონაცემების დათვლას.
მნიშვნელოვანია, რომ მონიტორინგი წარმოებს სპეციალურად შექმნილი პროგრამის საშუალებით, თითოეულ ჩანაწერზე ტელეგადაცემის/სიუჟეტის ლინკის მითითებით. როგორც პრაიმ თაიმში, ასევე ოფფ პრაიმში გაშუქებული ინფორმაციის დამუშავებას უზრუნველყოფენ სხვადასხვა პლატფორმებისა და გადაცემების სპეციფიკის გათვალისწინებით დატრენინგებული მონიტორები.

საერთაშორისო ორგანიზაციების პრაქტიკის შესაბამისად გაიზომება:

- **გაშუქებული თემა დათმობილი დროის მიხედვით**
- **გაშუქებული სუბიექტი (გამომსვლელი) დათმობილი დროის მიხედვით**
- **სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მიხედვით**
- **სუბიექტის გაშუქება ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური)**

მონიტორინგის სუბიექტები არიან:

- **საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნებისათვის ცესკოში რეგისტრირებული პარტიები/ბლოკები**
- **პარლამენტის არჩევნებისათვის საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, ცესკოში რეგისტრირებული, მაჟორიტარი კანდიდატები**
- **საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნებზე ცესკოში რეგისტრირებული საარჩევნო სუბიექტები**
- **აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტები**
- **მთავრობა**
- **პარლამენტი**
- **პრეზიდენტი**
- **ადგილობრივი თვითმმართველობები**
- **ცესკო**
- **არასამთავრობო ორგანიზაციები**
- **საერთაშორისო ორგანიზაციები**

მონიტორინგის მეთოდოლოგია

საარჩევნო მონიტორინგის რაოდენობრივი მონაცემები მოიცავს სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილ დროს, პირდაპირ და ირიბ გაშუქებას დათმობილი დროის და გაშუქების ტონის მიხედვით (პოზიტიური, ნეგატიური, ნეიტრალური). ამასთან განვმარტავთ, რომ სუბიექტისთვის (გამომსვლელისთვის) დათმობილი დრო წარმოადგენს სუბიექტის პირდაპირ გაშუქებას. ამ მონაცემს გამოვყოფთ იმისათვის, რომ ხაზი გავუსვათ საარჩევნო სუბიექტებისათვის მოამბის მიერ დათმობილი დროის პროცენტულ გადანაწილებას.

- **პირდაპირ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტი თავად საუბრობს**
- **ირიბ გაშუქებად ითვლება, როდესაც სუბიექტზე საუბრობენ სხვები**

მონიტორი აღნიშნავს სუბიექტის მიერ ნახსენებ ყველა ობიექტს ცალ-ცალკე, ქრონომეტრაჟის და გაშუქების ტონის მითითებით. საარჩევნო მონიტორინგის დროს ქრონომეტრაჟი არ მრგვალდება. ქრონომეტრაჟი ითვლება, როცა სუბიექტი:

- **ჩანს კადრში**
- **კადრში საუბრობს**
- **ისმის მხოლოდ ხმა**
- **მასზე საუბრობენ სხვები**
- **ჩანს სუბიექტის საიმიჯო ატრიბუტიკა**

გაშუქების ტონის განსაზღვრისას:

- **ნეგატიურად ითვლება გამომსვლელის მიერ მწვავე, უარყოფითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები;**
- **პოზიტიურად ითვლება გამომსვლელის მიერ დადებითი კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენებით გაკეთებული განცხადებები;**
- **ნეიტრალურად ითვლება სიტუაციის აღწერა, ფაქტების დაფიქსირება, ასევე ინფორმაცია, რომელიც მშრალად, დადებითი და ნეგატიური კონოტაციის შემცველი სიტყვების გამოყენების გარეშე აღწერს მოვლენებს.**

მონიტორინგი ასახავს, როგორც სუბიექტებისათვის დათმობილი მთლიანი დროის შეფასებას ტონის მიხედვით, ასევე ჟურნალისტის მიერ სუბიექტების გაშუქების/ხსენების დროს და ტონს.

მედიამონიტორინგის ცალკეული კომპონენტები გამოქვეყნდება ყოველ-კვირეულად, მთლიანი ანგარიში კი - საარჩევნო პროცესის დასრულების შემდეგ.

გასულ კვირას გამოქვეყნდა მოამბის ყველა გამოშვებაში გაზომილი საარჩევნო სუბიექტები (გამომსვლელები) დათმობილი დროის მიხედვით, პირველიდან 14 სექტემბრის ჩათვლით.

ამჯერად წარმოგიდგენთ ანგარიშს თვის ჭრილში (პირველიდან 30 სექტემბრის ჩათვლით). ანგარიშში აისახა მოამბის ყველა გამოშვებაში (მოამბე (08:00), მოამბე (09:00), მოამბე (10:00), მოამბე (12:00), მოამბე (15:00), მოამბე (18:00), მოამბე (21:00)):

- **გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობრივი მონაცემი და დათმობილი დრო**
- **საარჩევნო სუბიექტებისთვის (გამომსვლელებისთვის) დათმობილი დრო**
- **საარჩევნო სუბიექტების გაშუქება (პირდაპირი და ირიბი)**
- **საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი**

ცესკოში რეგისტრირებული პარტიების/ბლოკების გარდა ანგარიში მოიცავს 21 სექტემბრის მდგომარეობით რეგისტრირებული, საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილი, მაჟორიტარი კანდიდატების გაშუქების ხანგრძლივობას ჯამურად, საკრებულოების შუალედური და მერების რიგგარეშე არჩევნების სუბიექტებისთვის დათმობილ დროს ჯამურად, აჭარის უმაღლესი საბჭოს საარჩევნო სუბიექტებისთვის დათმობილ დროს ჯამურად.

პარტიები/ბლოკები აღნიშნულია სახელწოდებებით, რომლითაც ისინი მონაწილეობენ არჩევნებში. მონაცემები აღებულია ცესკოს ოფიციალური ვებგვერდიდან. სუბიექტების უკეთ აღქმისა და იდენტიფიკაციისათვის ჩამონათვალს ერთვის პარტიების ლოგოტიპები.

საანგარიშო პერიოდში მოამბის ყველა გამოშვებაში გაშუქებული საარჩევნო თემების რაოდენობაა 750, დათმობილი დრო 19:52:00 (ცხრამეტი საათი და ორმოცდათორმეტი წუთი).

მონიტორინგის მიხედვით, გაშუქება ხორციელდება საარჩევნო სუბიექტების აქტივობის შესაბამისად. სულ გაშუქდა მონიტორინგის 37 სუბიექტი, მათ

შორის 34 რეგისტრირებული პარტია/ბლოკი. წარმოდგენილი საარჩევნო სუბიექტებისთვის (გამომსვლელებისთვის) დათმობილი დრო მოამბეში არის 08:03:37 (რვა საათი, სამი წუთი და ოცდაჩვიდმეტი წამი). ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს ბლოკს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (01:29:34), მეორე ადგილზეა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (01:13:11), მესამე პოზიციაზეა „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (01:10:59). ეს არის მიმდინარე საარჩევნო კამპანიის ყველაზე მეტი აქტივობებით გამორჩეული სამი სუბიექტი, მათი აქტივობები პირდაპირპროპორციულად ასახულია მოამბის ეთერში და შესაბამისად ჩანს მონიტორინგის შედეგებში.

(ცხრილი #1 - საარჩევნო სუბიექტები (გამომსვლელები) დათმობილი დროის და პროცენტული გადანაწილების მითითებით)

საარჩევნო სუბიექტები	სუბიექტების პირდაპირი გაშუქება	სუბიექტების პირდაპირი გაშუქება
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანება”ძალა ერთობაშია”	1:29:34	18.52%
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:13:11	15.13%
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	1:10:59	14.68%
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0:37:10	7.69%
გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0:35:52	7.42%
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:28:03	5.80%
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0:20:46	4.29%
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0:15:36	3.23%
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0:13:13	2.73%
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:12:29	2.58%
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:12:17	2.54%
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი	0:08:59	1.86%
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	0:07:46	1.61%
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0:07:16	1.50%
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	0:06:01	1.24%
პარტია თეთრები	0:05:46	1.19%
გირჩი	0:05:08	1.06%
არჩევანი სამშობლოსათვის	0:05:00	1.03%
მშრომელთა სოციალისტური პარტია	0:05:00	1.03%

ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი	0:03:43	0.77%
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0:03:35	0.74%
მომავალი საქართველო	0:03:01	0.62%
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0:02:37	0.54%
ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები	0:01:55	0.40%
თავისუფალი დემოკრატები	0:01:27	0.30%
პროგრესული საქართველო	0:01:11	0.24%
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	0:01:05	0.22%
ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	0:01:01	0.21%
სოციალური სამართლიანობისათვის	0:00:54	0.19%
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0:00:45	0.16%
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:00:42	0.14%
სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი	0:00:40	0.14%
გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის	0:00:19	0.07%
რეფორმერი	0:00:18	0.06%
ჩვენი გაერთიანებული საქართველო	0:00:09	0.03%
საქართველო	0:00:09	0.03%

(გრაფიკი 1 - საარჩევნო სუბიექტებისთის (გამომსვლელებისთვის) დათმობილი დრო)



საარჩევნო სუბიექტების ირიბ გაშუქებას დაეთმო 06:40:50 (ექვსი საათი, ორმოცი წუთი და ორმოცთაათი წამი). ყველაზე მაღალი ირიბი გაშუქება აქვს პარტიას „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (02:07:43), რაც ნიშნავს რომ ქართულ ოცნებაზე საუბარს მონიტორინგის სხვა სუბიექტებმა ყველაზე მეტი დრო დაუთმეს. მეორე ადგილზეა ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (01:13:11), მესამე პოზიციაზეა „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:54:40)

(ცხრილი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქება დათმობილი დროის მითითებით)

საარჩევნო სუბიექტები	პირდაპირი გაშუქება	ირიბი გაშუქება
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	1:13:11	2:07:43
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანება»ძალა ერთობაშია”	1:29:34	1:13:11
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	1:10:59	0:54:40
ლელო - მამუკა ხაზარაძე	0:37:10	0:24:21
გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0:35:52	0:21:26
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0:28:03	0:13:51
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0:20:46	0:06:44
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0:15:36	0:10:21
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	0:12:17	0:11:36
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0:13:13	0:05:26
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	0:12:29	0:05:54
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი	0:08:59	0:05:31
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	0:07:46	0:05:07
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0:07:16	0:04:42
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	0:06:01	0:03:34
არჩევანი სამშობლოსათვის	0:05:00	0:03:17
ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი	0:03:43	0:03:50
პარტია თეთრები	0:05:46	0:00:44
გირჩი	0:05:08	0:00:50
მშრომელთა სოციალისტური პარტია	0:05:00	0:00:50

ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0:03:35	0:02:11
მომავალი საქართველო	0:03:01	0:01:50
ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები	0:01:55	0:02:36
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0:02:37	0:01:25
თავისუფალი დემოკრატები	0:01:27	0:01:13
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0:00:42	0:01:51
პროგრესული საქართველო	0:01:11	0:01:12
ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	0:01:01	0:00:56
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	0:01:05	0:00:40
გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის	0:00:19	0:01:13
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0:00:45	0:00:40
სოციალური სამართლიანობისათვის	0:00:54	0:00:23
სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი	0:00:40	0:00:30
რეფორმერი	0:00:18	0:00:14
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0:00:00	0:00:16
ჩვენი გაერთიანებული საქართველო	0:00:09	0:00:00
საქართველო	0:00:09	0:00:00
საქართველოს ევროატლანტიკური გზა	0:00:00	0:00:02

(გრაფიკი # 2 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების პროცენტული გადანაწილება. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

პირდაპირი და ირიბი გაშუქება



(გრაფიკი # 3 - საარჩევნო სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების ჯამური მაჩვენებელი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში სუბიექტების პირდაპირი და ირიბი გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟიდან)



საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტები ერთმანეთის მიმართ მკვეთრი პოლარიზებით ხასიათდებიან. რაც აისახა მონიტორინგის ფარგლებში გაზომილ მონაცემებშიც. სუბიექტების გაშუქების ტონის მიხედვით, გამომსვლელების საუბრისას ყველაზე მაღალი ნეგატიური მაჩვენებელი დაფიქსირდა „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მიმართ (01:01:25). ამ პარტიის მიმართ ყველაზე ნეგატიური გამოსვლებით გამოირჩეოდნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (00:14:52), „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:13:15), „ლელო - მამუკა ხაზარაძე“ (00:08:22); მაღალი ნეგატიური მაჩვენებლით მეორე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ (00:17:06) ამ ბლოკის მიმართ ნეგატიური გამოსვლები ჰქონდათ: „ქართულ ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“ (00:07:26), „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია-ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ (00:02:21), „გირჩი“ (00:00:59)

ერთმანეთის მიმართ მკვეთრად პოლარიზებული საარჩევნო აქტორების ფონზე, მაუწყებლის გაშუქების ტონის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ნეიტრალურია.

(ცხრილი # 3 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი. დათმობილი დროის და პროცენტის მითითებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

ჯგუფი	ნეგატიური		ნეიტრალური		პოზიტიური	
ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო	30.57%	1:01:25	46.03%	1:32:29	23.39%	0:47:00
ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“	10.51%	0:17:06	76.49%	2:04:29	13.01%	0:21:10
ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია- ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის	2.23%	0:02:48	81.64%	1:42:35	16.13%	0:20:16
ლელო - მამუკა ხაზარაძე	2.03%	0:01:15	78.95%	0:48:34	19.02%	0:11:42
გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი	0.17%	0:00:06	82.87%	0:47:29	16.96%	0:09:43
შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია	0.00%	0:00:00	80.63%	0:33:47	19.37%	0:08:07
ნინო ბურჯანაძე - ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა	0.00%	0:00:00	77.70%	0:21:22	22.30%	0:06:08
თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)	0.00%	0:00:00	62.17%	0:16:08	37.83%	0:09:49
დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	3.49%	0:00:50	61.41%	0:14:40	35.10%	0:08:23
ეკა ბესელია - პ.პ. სამართლიანობისთვის	0.00%	0:00:00	75.96%	0:14:10	24.04%	0:04:29
ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი	1.99%	0:00:22	78.88%	0:14:30	19.13%	0:03:31
ჯონდო ბაღათურია - ქართული დასი	0.00%	0:00:00	68.18%	0:08:47	31.82%	0:04:06
ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები	0.00%	0:00:00	67.83%	0:08:07	32.17%	0:03:51
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა	0.00%	0:00:00	76.00%	0:07:17	24.00%	0:02:18
არჩევანი სამშობლოსათვის	0.00%	0:00:00	85.71%	0:07:06	14.29%	0:01:11
ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი	0.00%	0:00:00	67.55%	0:05:06	32.45%	0:02:27
პარტია თეთრები	0.00%	0:00:00	43.08%	0:02:48	56.92%	0:03:42
გირჩი	0.00%	0:00:00	100.00%	0:05:58	0.00%	0:00:00
მშრომელთა სოციალისტური პარტია	0.00%	0:00:00	14.29%	0:00:50	85.71%	0:05:00
ზვიად ძიძიგური - საქართველოს კონსერვატიული პარტია	0.00%	0:00:00	71.97%	0:04:09	28.03%	0:01:37
მომავალი საქართველო	0.00%	0:00:00	83.51%	0:04:03	16.49%	0:00:48
ირაკლი ოქრუაშვილი - გამარჯვებული საქართველო	0.00%	0:00:00	90.91%	0:03:40	9.09%	0:00:22
თავისუფალი დემოკრატები	0.00%	0:00:00	48.13%	0:01:17	51.88%	0:01:23
თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის	0.00%	0:00:00	58.17%	0:01:29	41.83%	0:01:04
პროგრესული საქართველო	0.00%	0:00:00	73.43%	0:01:45	26.57%	0:00:38
ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა	0.00%	0:00:00	76.92%	0:01:30	23.08%	0:00:27
საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია	0.00%	0:00:00	100.00%	0:01:45	0.00%	0:00:00
გია ჟორჟოლიანი - სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისათვის	0.00%	0:00:00	39.13%	0:00:36	60.87%	0:00:56
სოციალური სამართლიანობისათვის	0.00%	0:00:00	96.10%	0:01:14	3.90%	0:00:03
სერგო ჯავახიძე-ევროატლანტიკური ვექტორი	14.29%	0:00:10	85.71%	0:01:00	0.00%	0:00:00
რეფორმერი	0.00%	0:00:00	43.75%	0:00:14	56.25%	0:00:18
დავით ჭიჭინაძე - ტრიბუნა- ქდმ	0.00%	0:00:00	50.00%	0:00:08	50.00%	0:00:08
ჩვენი გაერთიანებული საქართველო	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:09	0.00%	0:00:00
საქართველო	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:09	0.00%	0:00:00
საქართველოს ევროატლანტიკური გზა	0.00%	0:00:00	100.00%	0:00:02	0.00%	0:00:00
აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნები	0.00%	0:00:00	62.35%	0:00:53	37.65%	0:00:32
ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები	0.00%	0:00:00	95.57%	0:04:19	4.43%	0:00:12
დამოუკიდებელი დეპუტატობის კანდიდატი	0.00%	0:00:00	81.49%	0:11:49	18.51%	0:02:41

(გრაფიკი # 4 - საარჩევნო სუბიექტების გაშუქების ტონი პროცენტული გადანაწილებით. 100% ითვლება საანგარიშო პერიოდში თითოეული სუბიექტის პირდაპირი და ირიბი გაშუქების ქრონომეტრაჟიდან)

სუბიექტების გაშუქების ტონი



წინასაარჩევნო პერიოდში, იზრდება მაუწყებლების როლი ამომრჩეველთა ინფორმირების კუთხით. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მიუკერ-ძოებელი სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც ნათლად ჩანს ჟურნალისტების/წამყვანების გაშუქების ტონში და გამომსვლელებისთვის დათმობილი დროის გადანაწილებაში. მონიტორინგის ფარგლებში დაკვირვების ობიექტს წარმოადგენდნენ მაუწყებლის ჟურნალისტები და გადაცემის წამყვანები. აღსანიშნავია, რომ მოამბის ჟურნალისტების ტონი ყველა საარჩევნო სუბიექტის მიმართ მაღალი ნეიტრალური მაჩვენებლებით გამოირჩევა. ხოლო დროის გადანაწილება საარჩევნო სუბიექტებს (გამომსვლელებს) შორის არის დაბალანსებული მათივე აქტივობების შესაბამისად. ამავე დროს, მონიტორინგის მონაცემები გვიჩვენებს საარჩევნო კამპანიის ყველაზე აქტიურ და პასიურ საარჩევნო სუბიექტებს და სუბიექტებს ვინც ქმნის პოლარიზებულ საარჩევნო გარემოს.

მნიშვნელოვანია, რომ 30 სექტემბრიდან, „მოამბე“ (მოამბე 21:00) როგორც კვალიფიციურ, ასევე არაკვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს თანაბრად უთმობს ეთერის 5 წუთს, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ ამომრჩეველს გააცნონ საკუთარი პროგრამა და ძირითადი გზავნილები. საინფორმაციო გამოშვების ინიციატივით უკვე ისარგებლა ორმა საარჩევნო სუბიექტმა: „მშრომელთა სოციალისტურმა პარტიამ“, გამომსვლელი თამაზ ჯაფოშვილი და პარტიამ „თეთრები“, გამომსვლელი თემურ შაშიაშვილი. „მოამბის“ 5 წუთიანი საეთერო დროის გამოყენებაზე უარი განაცხადა პარტიამ „საქართველოს ევროატლანტიკური გზა“.

უწყვეტი მონიტორინგი და შედეგების პერმანენტული გამოქვეყნება შესაძლებელს გახდის საარჩევნო პროცესის გაშუქებაზე დინამიკაში დაკვირვებას და საეთერო დროის თანაბარ განაწილებას საარჩევნო სუბიექტებს შორის. რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულ არჩევანს.